



კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

კონვენცია

გავრცელება:
საყოველთაო

პირთა უფლებების შესახებ

22 მაისი, 2014

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

CRPD/C/GC/2

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

მეთერთმეტე სესია

31 მარტი–11 აპრილი 2014

ზოგადი კომენტარი № 1 (2014)

მუხლი 9: მისაწვდომობა

I. შესავალი

1. მისაწვდომობა შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობის წინაპირობაა. თუ ამ პირებს არ ექნებათ წვდომა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ფიზიკური გარემო, ტრანსპორტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია (მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სისტემები), ასევე, საზოგადოებისთვის ღია სერვისები და შენობები, ისინი ვერ შეძლებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. შემთხვევითი არ არის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მისაწვდომობა (მუხლი 3(f)). ისტორიულად, შშმ პირთა მოძრაობა ამტკიცებდა, რომ ფიზიკურ გარემოსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომა ამ პირთა გადაადგილების თავისუფლების წინაპირობაა, გარანტირებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლებით. ანალოგიურად, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომა მიიჩნევა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების წინაპირობად, რასაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25(c) მუხლი ითვალისწინებს, რომ თითოეულ მოქალაქეს თავის ქვეყანაში დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე უნდა მიუწვდებოდეს ხელი საჯარო სერვისებზე. ამ მუხლის დებულებები შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ძირითად ხელშეკრულებებში მისაწვდომობის უფლების გაერთიანების საფუძვლად.

3. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს წვდომა ნებისმიერ ადგილსა და სერვისზე, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მაგალითად: ტრანსპორტი, სასტუმრო, რესტორანი, კაფე, თეატრი და პარკი (მუხლი 5 (f)). შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში შექმნილი პრეცედენტის მიხედვით, მისაწვდომობა მიიჩნევა *per se* უფლებად. უდავოა, რომ სხვადასხვა რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის წევრები ხვდებოდნენ დაბრკოლებებს საზოგადოებისთვის განკუთვნილ ადგილებსა და სერვისებზე წვდომისას. ამის მიზეზი გახლდათ საზოგადოებაში დამკვიდრებული მოსაზრებები. ამავე დროს, არსებობდა მზაობა ძალის გამოსაყენებლად, რომ მათთვის შეეზღუდათ შესვლა ფიზიკურად მისაწვდომ ადგილებში. შშმ პირების წინაშე კი დგას ტექნიკური და გარემოსთან დაკავშირებული დაბრკოლება. ეს გარემო ხშირად ადამიანის მიერ არის შექმნილი (მაგ.: კიბე შენობის შესასვლელში, ულიფტო მრავალსართულიანი შენობები და ინფორმაციის არარსებობა მისაწვდომ ფორმატში). გარემოს შექმნა ყოველთვის დაკავშირებულია სოციალურ და კულტურულ განვითარებასთან, ასევე, ჩვეულებებთან; შესაბამისად, ეს პროცესი სრულად საზოგადოების კონტროლქვეშაა. ასეთი ხელოვნური ბარიერები ხშირად ინფორმაციის ნაკლებობისა და ტექნიკური ცოდნის უქონლობის შედეგია და წინასწარ არ განიზრახავს შშმ პირთა წვდომის შეზღუდვას საზოგადოებრივ ადგილებსა და სერვისებზე. ისეთი პოლიტიკის შემოსაღებად, რომელიც შშმ პირთა წვდომის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა, აუცილებელია მათ მიმართ დამოკიდებულების შეცვლა: სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა საგანმანათლებლო პროცესში, ცნობადობის ამაღლების, კულტურული კამპანიებისა და კომუნიკაციის გზით.
4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მისაწვდომობას განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნაწილად: იგი უნდა განვიხილოთ წვდომის უფლების სოციალური ასპექტის ანალოგად, რომელიც ორიენტირებულია შშმ პირებზე. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ მისაწვდომობას მიიჩნევს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისათვის, რომ შშმ პირებმა ეფექტიანად და სრულად ისარგებლონ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით. მისაწვდომობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში, არამედ საზოგადოებაში ინვესტირების საშუალებად და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განუყოფელ ნაწილად.
5. სხვადასხვა ადამიანსა და ორგანიზაციას განსხვავებულად ესმის საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) მნიშვნელობა, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ICT ზოგადი ტერმინია, რომელიც აერთიანებს ნებისმიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო მოწყობილობას და მასში არსებულ ინფორმაციას. ასეთი განმარტება მოიცავს ტექნოლოგიების ფართო სპექტრს, როგორცაა: რადიო, ტელევიზია, სატელიტი, მობილური ტელეფონები, სატელეფონო ხაზები, კომპიუტერები, ქსელური მოწყობილობები. ICT-ის მნიშვნელობა

გამომდინარეობს მისი შესაძლებლობიდან - გააფართოოს ბევრი სერვისი, შეცვალოს არსებული სერვისები და შექმნას უფრო დიდი მოთხოვნა ინფორმაციასა და ცოდნაზე, განსაკუთრებით, იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც ყველაზე ნაკლებად მიეწოდება სერვისები და გარიყულია (მაგ.: შშმ პირები). საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის რეგულაციების (დამტკიცდა დუბაიში, 2012 წელს) მე-12 მუხლი ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებას, ჰქონდეთ წვდომა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) რეკომენდაციებზე. ამ მუხლის დებულებები შეიძლება გამოვიყენოთ საფუძვლად მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესებისათვის.

6. №5 ზოგად კომენტარში შშმ პირთა შესახებ (1994) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა სახელმწიფოებს შეახსენა მათზე დაკისრებული ვალდებულება, შეასრულონ გაეროს სტანდარტული წესები შშმ პირთა შესაძლებლობების გათანაბრების შესახებ.¹ წესებში აღნიშნულია, რომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შშმ პირთა წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე (წესი 5), რაც სახელმწიფოთა პრიორიტეტად უნდა იქცეს. მისაწვდომობის მნიშვნელობა გათვალისწინებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის №14 ზოგად კომენტარშიც (2000) უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტის ჯანმრთელობის უფლების შესახებ (მუხლი 12). №9 ზოგად კომენტარში ბავშვის უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სხვა დაწესებულებების, მათ შორის, სამთავრობო უწყებების, სავაჭრო ცენტრებისა და სხვა რეკრეაციული შენობების ფიზიკური მუწვდომლობა შშმ ბავშვთა მაგრინალიზაციისა და გარიყვის მთავარი ფაქტორია და მნიშვნელოვნად ამცირებს მათ წვდომას ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე (პუნქტი 39). კომიტეტმა №17 ზოგად კომენტარში კიდევ ერთხელ აღნიშნა მისაწვდომობის მნიშვნელობა ბავშვის დასვენების, გართობის, რეკრეაციული აქტივობების, კულტურული ცხოვრებისა და ხელოვნების უფლებასთან მიმართებით.
7. *შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მსოფლიო ანგარიშის შეჯამებაში* (გამოაქვეყნეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა 2011 წელს, ყველაზე ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შემდეგ, რომელშიც ჩართული იყო შეზღუდული შესაძლებლობის სფეროს ასობით სპეციალისტი) აღნიშნულია, რომ შექმნილი გარემო, სატრანსპორტო სისტემები, ინფორმაცია და კომუნიკაცია ხშირად ხელმიუწვდომელია შშმ პირებისთვის (გვ. 10). შშმ პირებს არ შეუძლიათ სარგებლობა ზოგიერთი ძირითადი უფლებით (როგორცაა დასაქმება, ჯანდაცვა), ტრანსპორტზე წვდომის არარსებობის გამო. მისაწვდომობის კანონები დაბალი ხარისხით სრულდება ბევრ ქვეყანაში და შშმ პირები ვერ სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, ვინაიდან არ აქვთ წვდომა ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს სურდოთარჯიმნის მომსახურება ყრუ პირებისთვის, კვალიფიციურ თარჯიმანთა რაოდენობა ისეთი მცირეა, რომ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას ამ სერვისზე; ამასთან, თარჯიმნებს თვითონ უწევთ მისვლა კლიენტებთან ინდივიდუალურად, რაც ამ სერვისს ძალიან აძვირებს. ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს, უსინათლო და ყრუ პირთა მსგავსად, დაბრკოლება ექმნებათ ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე

¹ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 48/96, დანართი.

წვდომისას, ვინაიდან არ არის შემუშავებული ადვილად წასაკითხი ფორმატები, ასევე, კომუნიკაციის გამაძლიერებელი და ალტერნატიული საშუალებები. მათ სირთულეები ხვდებათ სერვისების მიღების დროსაც, ვინაიდან უარყოფითი დამოკიდებულება შეინიშნება სერვისის მიმწოდებელ პირებში, ამასთანავე, მათ არ აქვთ გავლილი სათანადო მომზადება.

8. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის 2011 წლის ანგარიშში *ტელევიზიის მისაწვდომობის განვითარება*, რომელიც გამოაქვეყნა ინკლუზიური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გლობალურ ინიციატივასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ერთი მილიარდი შშმ პირიდან უმრავლესობას არ შეუძლია სარგებლობა ტელევიზიის აუდიოვიზუალური შინაარსით. ეს გამოწვეულია ინფორმაციაზე წვდომისათვის აუცილებელი მოწყობილობების არარსებობით.
9. ძირითადად ICT-ის საზოგადოებამ აღიარა მისაწვდომობა საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის პირველი ფაზის შემდეგ, რომელიც 2003 წელს ჟენევაში ჩატარდა. შშმ საზოგადოების ინიციატივით და მხარდაჭერით, ეს კონცეფცია შეიტანეს სამიტზე დამტკიცებულ პრინციპების დეკლარაციაში. მისი 25-ე პუნქტის მიხედვით: „გლობალური ცოდნის გაზიარება და განმტკიცება განვითარებისთვის შეიძლება გაუმჯობესდეს შემდეგი ნაბიჯებით: თანაბარი წვდომა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ჯანმრთელობის, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე; საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობა, მათ შორის, უნივერსალური დიზაინით და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებით.“²
10. მონაწილე სახელმწიფოებთან გამართული ათივე ინტერაქციული დიალოგისას, რომლებიც მიემდვნა პირველადი ანგარიშების განხილვას, შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა მისაწვდომობა განიხილა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ამ ანგარიშებზე მომზადებული ყველა დასკვნითი მოსაზრება შეიცავს რეკომენდაციებს მისაწვდომობის შესახებ. მთავარი საერთო გამოწვევა იყო სათანადო მონიტორინგის მექანიზმის არსებობა, რომლითაც მისაწვდომობის სტანდარტი და კანონმდებლობა პრაქტიკაში განხორციელდებოდა. ზოგიერთ მონაწილე სახელმწიფოში მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ადგილობრივ ხელისუფლებს, რომელსაც არ ჰქონდა საამისოდ აუცილებელი ტექნიკური ცოდნა, ასევე, ადამიანური და მატერიალური რესურსი. მეორე ზოგადი გამოწვევა იყო შესაბამის პირთა ტრენინგების ნაკლებობა, ამასთანავე, შშმ პირებისა თუ მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების არასათანადო მონაწილეობა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომის პროცესში.
11. შშმ პირთა უფლებების კომიტეტმა მისაწვდომობის საკითხზე იმსჯელა გადაწყვეტილებებში. საქმეზე *Nyusti and Takács v. Hungary* (კომუნიკაცია No. 1/2010, დამტკიცდა 2013 წლის 16 აპრილს) კომიტეტმა მიიჩნია, რომ საზოგადოებისთვის შექმნილი ყველა ღია სერვისის მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების

² იხ. პრინციპების დეკლარაცია: საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობა: გლობალური გამოწვევა ახალ ათასწლეულში, დამტკიცდა საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის პირველი ფაზის დროს ჟენევაში 2003 წელს (WSIS-03/GENEVA/DOC/4-E), პუნქტი 25.

კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად. მან მონაწილე სახელმწიფოს მოუწოდა, რომ ბანკომატები (ATMs) ხელმისაწვდომი ყოფილიყო უსინათლო პირებისთვის და მისცა რეკომენდაცია, *inter alia*, შეექმნა: „მინიმალური სტანდარტი მხედველობის ან სხვა შეზღუდვის მქონე პირთათვის კერძო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული საბანკო სერვისების მისაწვდომობაზე; ასევე, ... საკანონმდებლო ჩარჩო, კონკრეტული, აღსრულებადი და დროში გაწერილი ინდიკატორებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება კერძო სექტორის მიერ საბანკო სერვისების გარდაქმნა-მორგების ეტაპებზე მონიტორინგი და მათი შეფასება; ... ახალი ბანკომატები და სხვა საბანკო სერვისები სრულად ხელმისაწვდომი ყოფილიყო შშმ პირებისთვის“ (პუნქტი. 10.2 (a)).

12. კომიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული პრეცედენტები და ის ფაქტი, რომ მისაწვდომობა ნამდვილად უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა შშმ პირთა სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე, ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისთვის. შესაბამისად, მან აუცილებლად მიიჩნია, კონვენციის მე-9 მუხლზე მიეღო ზოგადი კომენტარი, კომიტეტის საპროცედურო წესებისა და ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების პრაქტიკის შესაბამისად.

II. ნორმატიული შინაარსი

13. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, კერძოდ, მისი მე-9 მუხლი ამბობს: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე, სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.“ მნიშვნელოვანია, მისაწვდომობის საკითხი გადაიჭრას მისი კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით და მოიცავდეს ფიზიკურ გარემოს, ტრანსპორტს, ინფორმაციასა და კომუნიკაციას, ასევე, სერვისებს. აქცენტი აღარ კეთდება იმ პირთა სამართალსუბიექტობასა და კერძო ან საჯარო სტატუსზე, ვინც ფლობს შენობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასა და საშუალებებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისებს. თუ სერვისი ღიაა და გამიზნულია საზოგადოებისთვის, მასზე წვდომა უნდა უზრუნველყოს ყველა მფლობელმა/მიმწოდებელმა, იმის მიუხედავად, სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო საწარმო. შშმ პირებს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეთ ყველა საქონელზე, პროდუქტსა და სერვისზე, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებისათვის; მისაწვდომობა უნდა იყოს ეფექტიანი, თანასწორი, და პატივს სცემდეს შშმ პირთა ღირსებას, გამომდინარე დისკრიმინაციის აკრძალვიდან; წვდომაზე უარი უნდა განიხილებოდეს დისკრიმინაციულ ქმედებად, მნიშვნელობა არ აქვს, დამრღვევი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო საწარმო. წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა შშმ პირს, შეზღუდული შესაძლებლობის ტიპის მიუხედავად და ყოველგვარი განსხვავების გარეშე (რასა, ფერი, სქესი, ენა ან რელიგია; პოლიტიკური ან სხვა მოსაზრება; ეროვნული ან სოციალური კუთვნილება; დაბადების ადგილი, სამართლებრივი, სოციალური ან სხვა სტატუსი; გენდერი ან ასაკი). თანასწორობასთან მიმართებით,

გასათვალისწინებელია შშმ პირის გენდერული და ასაკთან დაკავშირებული საჭიროებები.

14. კონვენციის მე-9 მუხლი ნათლად აცხადებს, რომ შშმ პირისთვის მისაწვდომობა დამოუკიდებელი ცხოვრების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობისა და ყველა უფლებითა და ძირითადი თავისუფლებით შეუზღუდავი სარგებლობის წინაპირობაა. მე-9 მუხლი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს, როგორც: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 25(c), თანაბარი წვდომა საჯარო სერვისებზე); საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი 5(f), საზოგადოებრივი მიზნებისთვის განკუთვნილი სერვისისა და ადგილის მისაწვდომობა). როდესაც ადამიანის უფლებათა ეს ორი ხელშეკრულება შეიქმნა, ინტერნეტი, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელოვნად შეცვალა, არ არსებობდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია ადამიანის უფლებებზე შექმნილი პირველი ხელშეკრულებაა 21-ე საუკუნეში, რომელმაც გაითვალისწინა ICT-ზე წვდომა; შესაბამისად, იგი არ მოიცავს შშმ პირთა ახალ უფლებებს ამ მიმართულებით. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართალში თანასწორობის ცნება შეიცვალა ბოლო ათწლეულებში; ფორმალური თანასწორობა არსებით თანასწორობად გადაიქცა, რამაც გავლენა იქონია მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებებზე: კერძოდ, მისაწვდომობის უზრუნველყოფა თანასწორობის უფლებათა პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების ვალდებულების მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. შესაბამისად, იგი უნდა განვიხილოთ ხელმისაწვდომობის უფლების კონტექსტში და შეზღუდული შესაძლებლობის პერსპექტივიდან. ხელმისაწვდომობის უფლება შშმ პირებისთვის უზრუნველყოფილია მისაწვდომობის სტანდარტების განუხრელი განხორციელებით. საზოგადოებისთვის შექმნილ ან ღია ობიექტებზე, შენობებზე, საქონელსა და სერვისებზე მისაწვდომობის ბარიერები უნდა აღმოიფხვრას ეტაპობრივად, სისტემატური და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მულტივი მონიტორინგის პირობებში, რათა უზრუნველყონ სრული მისაწვდომობა.
15. უნივერსალური დიზაინის განუხრელი შესრულება ყველა ახალ საქონელთან, პროდუქტთან, შენობასთან, ტექნოლოგიასა და სერვისთან მიმართებით, უზრუნველყოფს სრულ, თანასწორ და შეუზღუდავ მისაწვდომობას ყველა პოტენციური მომხმარებლისთვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის; თანაც ისე, რომ სრულად იყოს გათვალისწინებული თანდაყოლილი ღირსება და განსხვავებულობა. მან ხელი უნდა შეუწყოს პირის ერთი ადგილიდან მეორეზე (მათ შორის, კონკრეტულ სივრცეშიც) გადაადგილებას შეუზღუდავად, ბარიერების გარეშე. შშმ პირებსა და სხვა მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ დაუბრკოლებლად მოძრაობა ქუჩებში, დაბალსაფეხურიანი სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომა, შესვლა და გადაადგილება უნივერსალური დიზაინით დაგეგმარებულ შენობებში, ტექნოლოგიური დახმარებისა და მხარდამჭერი საშუალებების გამოყენება საჭიროებისამებრ. უნივერსალური დიზაინი ავტომატურად არ გამოირცხავს ტექნიკური დახმარების საშუალებებით სარგებლობას. მისი გათვალისწინება შენობის დიზაინის შექმნის საფუძველშივე მშენებლობას ბევრად გააიაფებს: პირველივე ეტაპიდან მისაწვდომი შენობის მშენებლობა, უმრავლეს შემთხვევაში, შედარებით ეკონომიურია (ან უმნიშვნელოდ

ძვირდება). ამ მხრივ შენობის მოგვიანებით ადაპტირება შეიძლება უფრო ძვირი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, ზოგიერთი ისტორიული ნაგებობის შემთხვევაში. თუმცა, ადაპტირების ხარჯები ვერ გაამართლებს ისეთი ვალდებულების შეუსრულებლობას, როგორცაა დაბრკოლებების აღმოფხვრა შენობაში მისაწვდომობის ეტაპობრივად უზრუნველყოფისათვის. ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, მათ შორის, ICT-ზე წვდომა ასევე თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული, ვინაიდან მოგვიანებით ადაპტირებამ შეიძლება გაზარდოს ხარჯები. შესაბამისად, ბევრად ეკონომიურია სავალდებულო ICT-ის მისაწვდომობის მახასიათებელთა ჩართვა დიზაინისა და წარმოების პირველივე ეტაპზე.

16. უნივერსალური დიზაინის გამოყენებით, საზოგადოება მისაწვდომი ხდება ყველა ადამიანისათვის და არა მხოლოდ შშმ პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ მე-9 მუხლი პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას მონაწილე სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ მისაწვდომობა ურბანულ და სოფლის დასახლებებში. არსებობს მტკიცებულებები, რომ მისაწვდომობა, როგორც წესი, დიდ ქალაქებში უფრო უკეთესია, ვიდრე მოშორებულ, ნაკლებგანვითარებულ დასახლებებში; გაძლიერებულმა ურბანიზაციამ შეიძლება დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნას შშმ პირებს, განსაკუთრებით, ისეთი მიმართულებებით, როგორცაა შენობების, ტრანსპორტისა და სერვისების მისაწვდომობა, ასევე, რთული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სერვისების მიწოდება მჭიდროდ დასახლებულ და ხმაურიან ურბანულ დასახლებებში. როგორც ქალაქში, ასევე სოფელში, შშმ პირებს წვდომა უნდა ჰქონდეთ ფიზიკური გარემოს ბუნებრივ და ისტორიულ ნაწილებზეც, რომლებიც საზოგადოებისთვის ღია და მისაწვდომია.
17. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, გამოავლინონ და აღმოფხვრან მისაწვდომობის წინააღმდეგობები და დაბრკოლებები, რომელიც შეეხება, *inter alia*:
- (a) შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, შიდა და გარე ობიექტებს, მათ შორის, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს;
- (b) ინფორმაციას, კომუნიკაციასა და სხვა სერვისებს, ელექტრონულ სერვისებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.
- ზემოაღნიშნულ შიდა და გარე ობიექტებში ასევე იგულისხმება: სამართალდამცველი უწყებები, სასამართლოები, ციხეები და სოციალური დაწესებულებები; სოციალური ურთიერთობების, რეკრეაციის, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სპორტული აქტივობების ადგილები; სავაჭრო დაწესებულებები. სხვა სერვისები უნდა მოიცავდეს საფოსტო, საბანკო, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სერვისებს.
18. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სპეციალური ზომების მიღებას, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ, დაწერონ და მონიტორინგი გაუწიონ მინიმალური სტანდარტების განხორციელებას შშმ პირთა წვდომისათვის ღია საზოგადოებრივ ობიექტებსა და მომსახურებებზე. აუცილებელია ამ სტანდარტების ურთიერთშესაბამისობა მონაწილე სახელმწიფოებში, რათა შშმ პირები თავისუფლად მოძრაობდნენ ყველგან, გადაადგილებისა და მოქალაქეობის უფლების გათვალისწინებით (მუხლი 18). მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ

ლონისძიებების გატარება იმ მხრივაც, რომ კერძო პირებმა, რომლებიც საზოგადოებას სთავაზობენ შენობებსა და სერვისებს, გაითვალისწინონ შშმ პირთა წვდომის ყველა ასპექტი (მუხლი 9, პუნქტი 2(b)).

19. ვინაიდან მისაწვდომობის ნაკლებობა ხშირად დაბალი ცნობიერებისა და არასაკმარისი ტექნიკური ცოდნის შედეგია, მე-9 მუხლი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა ტრენინგები ჩაატარონ ამ საკითხებზე ყველა შესაბამისი პირისთვის (პუნქტი 2). ამ მუხლში არ არის განსაზღვრული „შესაბამისი პირების“ სრული ჩამონათვალი. ამომწურავ სიაში უნდა გაერთიანდნენ: ნებართვების გამცემი ორგანოები, სამაუწყებლო საბჭოები და ICT ლიცენზიის გამცემი უწყებები; ინჟინრები, დიზაინერები, არქიტექტორები და ურბანული დაგეგმვის სპეციალისტები; სატრანსპორტო ორგანიზაციები, სერვისის მიმწოდებლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, შშმ პირები და მათი ორგანიზაციები. ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ არა მხოლოდ საქონლის, სერვისისა და პროდუქტის დიზაინერებს, არამედ მათ მწარმოებლებსაც. გარდა ამისა, შშმ პირთა მონაწილეობის გაზრდა პროდუქტის შექმნის პროცესში გააუმჯობესებს მათი საჭიროებების გააზრებას და მისაწვდომობის ეფექტიანობას. საბოლოოდ, სწორედ მშენებლობაზე მომუშავე პირთა მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგია ის, მისაწვდომი იქნება თუ არა შენობა. მნიშვნელოვანია, შეიქმნას ტრენინგისა და მონიტორინგის სისტემა ყველა ამ ჯგუფისთვის, რათა მისაწვდომობის სტანდარტი პრაქტიკაში დაინერგოს.
20. საზოგადოებისთვის განკუთვნილ ღია შენობებსა და სხვა სივრცეებში გადაადგილება და ორიენტაცია შეიძლება რთული აღმოჩნდეს შშმ პირისთვის, თუ არ არის სათანადო ნიშნები, მისაწვდომი ინფორმაცია და კომუნიკაცია, ან დახმარების სერვისი. შესაბამისად, მე-9 მუხლის 2(d)(e) პუნქტი ითვალისწინებს, რომ მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობისათვის ღია ყველა შენობასა და ობიექტებში აბრები განათავსონ ბრაილის ნიშნებითაც, მარტივად წასაკითხი და გასაგები სახით; ასევე, იქვე უნდა იყოს დამხმარე პერსონალი, შუამავლებთან ერთად (მაგ.: გიდი, წამკითხველი, პროფესიონალი სურდოთარჯიმანი). ასეთი ნიშნების, მისაწვდომი ინფორმაციის, კომუნიკაციისა და დახმარების სერვისების გარეშე, შენობაში ორიენტაცია და გადაადგილება შეიძლება გართულდეს ბევრი შშმ პირისთვის, განსაკუთრებით, კოგნიტური გადაღლილობის (*cognitive fatigue*) მდგომარეობაში მყოფთათვის.
21. ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომის გარეშე, მნიშვნელოვნად დაბრკოლდება და შეიზღუდება შშმ პირთა მიერ გამოხატვის თავისუფლებით ასევე, სხვა ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა. კონვენციის მე-9 მუხლის 2(f)(g) პუნქტი ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ: დამხმარე და შუამავალი პირების, მათ შორის გიდების, წამკითხველებისა და პროფესიონალი სურდოთარჯიმანების განვითარებას (პუნქტი 2(e)); შშმ პირთა დახმარებისა და მხარდაჭერის სხვა ფორმების შემუშავებას ინფორმაციის მისაღებად; შშმ პირთა წვდომას ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სისტემებზე (მათ შორის, ინტერნეტზე), კერძოდ, შესაბამისი სავალდებულო სტანდარტების შემოღებით. ინფორმაცია და კომუნიკაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მარტივად წასაკითხი ფორმატით, ასევე, გამამლიერებელი და ალტერნატიული ფორმითა და მეთოდებით, რომელიც გასაგები იქნება შშმ მომხმარებლისათვის.

22. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშმ პირთა სრული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად, შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; ტექნოლოგიები ამ მიზნისთვის გამოდგება მხოლოდ მაშინ, თუ მათი დიზაინი და წარმოება უზრუნველყოფს მისაწვდომობას. ახალმა ინვესტიციებმა, კვლევებმა და წარმოებამ უნდა აღმოფხვრას უთანასწორობა (და არა შექმნას დაბრკოლებები). შესაბამისად, მე-9 მუხლის 2(h) პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, ხელი შეუწყონ მისაწვდომი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების დიზაინს, განვითარებას, წარმოებასა და გავრცელებას, რათა ისინი მისაწვდომი გახდეს მინიმალური ხარჯებით. სმენის მოწყობილობებისა და სხვა დამხმარე სისტემების გამოყენება შესაბამისი პრობლემის მქონე პირთათვის, ასევე, შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ლიფტების დამონტაჟება, რათა საგანგებო სიტუაციებში ისარგებლონ შენობიდან ევაკუაციისათვის - მაგალითებია, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენება სერვისების მისაწვდომობისათვის.
23. ვინაიდან მისაწვდომობა შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა (რაც გარანტირებულია კონვენციის მე-19 მუხლით) და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობის წინაპირობაა, წვდომის შეზღუდვა საზოგადოებისთვის განკუთვნილ ღია ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და მოწყობილობებზე, ასევე, სერვისებზე, დისკრიმინაციად უნდა ჩაითვალოს. კონვენციის მე-4 მუხლის 1(b) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა - „მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ყველა დისკრიმინაციული კანონის, დადგენილების, წესის, ტრადიციის შესაცვლელად ან გასაუქმებლად“ - ყველა მონაწილე სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებაა. „მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტიან იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან“ (მუხლი 5, პუნქტი 2). „თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის“ (მუხლი 5, პუნქტი 3).
24. აუცილებელია, განვასხვაოთ ორი ვალდებულება: (1) მისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ ყველა ახალშექმნილ, აშენებულ და წარმოებულ საგანზე, ინფრასტრუქტურაზე, საქონელზე, პროდუქტსა და სერვისზე; (2) მისაწვდომობისათვის უნდა აღმოფხვრას დაბრკოლებები არსებულ ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე, საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე. მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ კიდევ ერთი ზოგადი ვალდებულება: „განახორციელონ ან ხელი შეუწყონ წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული ისეთი უნივერსალური დიზაინის მქონე პროდუქტის, მომსახურების, დანადგარებისა და მოწყობილობების კვლევა-გამოგონებით საქმიანობას, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგება მინიმალურ ადაპტაციასა და თანხებს მოითხოვს; ხელი შეუწყონ მათ გამოყენებასა და მისაწვდომობას, სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შექმნაში უნივერსალური დიზაინის იდეის

გატარებას“ (მუხლი 4, პუნქტი 1(f)). ყველა ახალი საგნის, ინფრასტრუქტურის, საქონლის, პროდუქტისა და სერვისის დიზაინი ისე უნდა შეიქმნას, რომ სრულად მისაწვდომი იყოს შშმ პირთათვის უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ წვდომა არსებულ ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე, საზოგადოებისათვის ღია სერვისებზე. თუმცა, ვინაიდან ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს ეტაპობრივად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ არსებულ დაბრკოლებათა აღმოფხვრის ვადა; ამასთანავე, კონკრეტული ვალდებულებები დააკისრონ სხვადასხვა ორგანოსა (რეგიონულისა და ადგილობრივის ჩათვლით) და ორგანიზაციას (კერძო ორგანიზაციების ჩათვლით), რომელთა განხორციელება აუცილებელია მისაწვდომობისათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმიც, რათა უზრუნველყონ მისაწვდომობა და მონიტორინგი გაუწიონ სანქციების დაწესებას მათთვის, ვინც არ შეასრულებს შესაბამის სტანდარტებს.

25. მისაწვდომობა დაკავშირებულია ჯგუფებთან, ხოლო გონივრული მისადაგება - ადამიანთან. ეს ნიშნავს, რომ მისაწვდომობის უზრუნველყოფა არის *ex ante* ვალდებულება. შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა მისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ მანამ, სანამ მიიღებენ ინდივიდუალურ თხოვნას, რომ პირს სურს, ისარგებლოს შენობით/სერვისით. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ მისაწვდომობის სტანდარტი, რომელიც უნდა შემუშავდეს შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით; ეს სტანდარტები უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ინფორმაციას სერვისის მიმწოდებლების, მშენებლებისა და სხვა შესაბამისი პირებისთვის. მისაწვდომობის სტანდარტი უნდა იყოს ფართო და ერთიანი. თუ პირს აქვს იშვიათი ტიპის შეზღუდვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტანდარტების შემუშავებისას, ან იგი ვერ იყენებს მისაწვდომობის შეთავაზებულ ფორმას, მეთოდსა და საშუალებას (მაგ.: ვერ კითხულობს ბრაილის შრიფტს), მაშინ მისაწვდომობის სტანდარტები არ კმარა შშმ პირთა უფლებების რეალიზებისათვის. ასეთ შემთხვევებში, შესაძლებელია გონივრული მისადაგების გამოყენება. კონვენციის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები შშმ პირთა მისაწვდომობის თავიდან არიდებას ვერ გაამართლებენ ეკონომიკური ღონისძიებების ეტაპობრივი გამოყენებით. მისაწვდომობის ვალდებულება უპირობოა, ანუ მასზე პასუხისმგებელი ორგანო ვერ გაამართლებს უმოქმედობას აუცილებელი ღონისძიებების სირთულით და მათგან გამომდინარე ტვირთით. გონივრული მისადაგების ვალდებულება კი არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ ქმნის დამატებით ტვირთს ამ ორგანიზაციისთვის.
26. გონივრული მისადაგება არის *ex nunc* ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ ამ ვალდებულების შესრულება დაიწყება მაშინ, როდესაც შეზღუდვის მქონე პირი მოითხოვს მის ამოქმედებას კონკრეტულ სიტუაციაში (მაგ.: სამსახურში ან სკოლაში), რათა სხვების თანასწორად ისარგებლოს საკუთარი უფლებებით. ასეთ დროს მისაწვდომობა შეიძლება იყოს ინდიკატორი, მაგრამ არ უნდა მივიჩნიოთ ჩვეულებად. გონივრული მისადაგება შეიძლება გამოვიყენოთ შშმ პირთა მისაწვდომობის უზრუნველყოფის საშუალებად კონკრეტულ სიტუაციაში. გონივრული

მისადაგების მიზანია ინდივიდუალური სამართლიანობის მიღწევა - დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობის უზრუნველყოფა, ღირსების, ავტონომიისა და პირის არჩევანის გათვალისწინებით. შესაბამისად, იშვიათი შეზღუდვის მქონე პირმა შეიძლება ითხოვოს მისადაგება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მისაწვდომობის სტანდარტით.

III. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები

27. წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე, საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე, ხშირად შშმ პირის სხვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზების წინაპირობაა, თუმცა მონაწილე სახელმწიფოებს მისი უზრუნველყოფა შეუძლიათ ეტაპობრივი განხორციელებით (საჭიროებისამებრ), ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობით. წინააღმდეგობისა და დაბრკოლებების გამოსავლენად, სიტუაციის ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ეფექტიანად და დროის მოკლე მონაკვეთში. დაბრკოლებების აღმოფხვრა უნდა იყოს განგრძობითი, სისტემატური, ეტაპობრივი და განუხრელი პროცესი.
28. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ და გამოაქვეყნონ მისაწვდომობის სტანდარტები და მონიტორინგი გაუწიონ მათ განხორციელებას. სათანადო კანონმდებლობის მიღება პირველი ნაბიჯია. მონაწილე სახელმწიფოებმა სრულყოფილად უნდა გააანალიზონ მისაწვდომობის კანონმდებლობა, რათა განსაზღვრონ, შეაფასონ და გამოასწორონ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. ხშირად, კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ICT-ს არ ითვალისწინებს მისაწვდომობის განმარტებაში; გარდა ამისა, დებულებები არადისკრიმინაციულ წვდომაზე ისეთ სფეროებში, როგორცაა შესყიდვები, დასაქმება და განათლება, ხშირად არ მოიცავს ICT-ის, ასევე, ბევრ ისეთ საქონელსა და სერვისს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომია მხოლოდ ICT-ის გამოყენებით. კანონმდებლობის გადახედვისა და შემუშავების პროცესში არსებითია აქტიური კონსულტაციები შემდეგ მხარეებთან: შშმ პირები და მათ ორგანიზაციები (მუხლი 4, პუნქტი 3), სხვა დაინტერესებული პირები, მათ შორის, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, არქიტექტორები, ურბანული დაგეგმარების, ინჟინრებისა და დიზაინერების საექსპერტო ასოციაციები. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს უნივერსალურ დიზაინი და ეფუძნებოდეს მას კონვენციის შესაბამისად (მუხლი 4, პუნქტი 1). მისაწვდომობის სტანდარტი სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის და, დარღვევის შემთხვევაში, განისაზღვროს სანქციები, მათ შორის ჯარიმები.
29. უფრო მარტივია, თუ მისაწვდომობის სტანდარტები აისახება სხვადასხვა კანონმდებლობაში (მაგ.: ფიზიკური მისაწვდომობის სტანდარტი - მშენებლობისა და დაგეგმარების კანონმდებლობაში; ტრანსპორტზე წვდომის სტანდარტი - კანონმდებლობაში საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო და საწყლოსნო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესახებ; ინფორმაციაზე, კომუნიკაციაზე და საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე მისაწვდომობის სტანდარტი - შესაბამის კანონმდებლობაში). თუმცა, ზოგადი და კონკრეტული კანონები თანაბარი შესაძლებლობებისა და მონაწილეობის შესახებ ასევე უნდა შეიცავდეს დებულებებს მისაწვდომობაზე, რათა აკრძალოს დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. შშმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ წვდომა

ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე ან საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე, უნდა შეეძლოს სამართლებრივი დაცვის საშუალებათა გამოყენება. მისაწვდომობის სტანდარტის განსაზღვრისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შშმ პირთა განსხვავებულობა და მისაწვდომობა უზრუნველყონ ნებისმიერი პირისთვის, გენდერის, ასაკისა და შეზღუდვის ფორმის მიუხედავად. შშმ პირთა განსხვავებულობის აღიარება გულისხმობს იმის აღიარებასაც, რომ ზოგ შშმ პირს სრული მისაწვდომობისათვის შეიძლება ესაჭიროებოდეს ადამიანის ან ცხოველის დახმარება (მაგ.: პერსონალური მხარდაჭერი, სურდოთარჯიმანი, ტაქტილური ნიშნების თარჯიმანი ან დამხმარე ძაღლები). კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმასაც, რომ დამხმარე ძაღლების არმეშვება შენობებსა ან რაიმე სივრცეში დისკრიმინაციული აქტია და იკრძალება.

30. აუცილებელია, საჯარო და კერძო ორგანიზაციებში შეიქმნას სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთათვის შეთავაზებულ სერვისებზე წვდომის მინიმალური სტანდარტი. კანონმდებლობაში უნდა აისახოს ზოგადი სტანდარტების განმსაზღვრელი დოკუმენტებიც (მაგ.: კანონმდებლობა ICT-ის შესახებ მოიცავდეს ტელე-კომუნიკაციაზე წვდომის შემოწმების ITU-T რეკომენდაციას (2006); ასევე, ხანდაზმულთა და შშმ პირთა ტელე-კომუნიკაციაზე წვდომის ინსტრუქციას (ITU-T რეკომენდაცია F.790)). ამით შესაძლებელი იქნება უნივერსალური დიზაინის განზოგადება სტანდარტების შემუშავებისას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან საკანონმდებლო ჩარჩო, კონკრეტული, აღსრულებადი და დროში გაწერილი ინდიკატორებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება კერძო სექტორის მიერ შეთავაზებული სერვისების ეტაპობრივი ადაპტაციის/ცვლილებების მონიტორინგი და შეფასება. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირებისთვის უნდა უზრუნველყონ ახალი საქონლისა და სერვისების ხელმისაწვდომობაც. მინიმალური სტანდარტი უნდა შემუშავდეს შშმ პირებსა და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციით (კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი). სტანდარტების შემუშავება შესაძლებელია სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობითაც (კონვენციის 32-ე მუხლი). მიზანშეწონილია, მონაწილე სახელმწიფოები გაწევრიანდნენ ITU-ს რადიოკომუნიკაციის, სტანდარტიზაციისა და კავშირის განვითარების ჯგუფებში. ეს ჯგუფები აქტიურად მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა მისაწვდომობის ასახვა ტელეკომუნიკაციისა და ICT-ის საერთაშორისო სტანდარტებში, ასევე, მთავრობის ცნობადობის ამაღლება შშმ პირთა ICT წვდომის გაზრდაზე. ამგვარი თანამშრომლობა სასარგებლოა საერთაშორისო სტანდარტების შესამუშავებლად და მათი დანერგვის ხელშესაწყობად, რაც დაეხმარება საქონლისა და სერვისების ურთიერთშესაბამისობას. კომუნიკაციის სფეროში, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, სულ მცირე, მინიმალური ხარისხის სერვისი, მათ შორის, სერვისის ახალი ტიპები (მაგ.: პერსონალური დამხმარე, ექსტურ ენაზე თარგმანი ან ტაქტილური ნიშნები) და შეეცადონ მათ სტანდარტიზაციას.
31. მისაწვდომობის კანონმდებლობის გადახედვისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ და, საჭიროების შემთხვევაში, შეეცადონ კანონმდებლობა, რომელიც შეეხება დისკრიმინაციის აკრძალვას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. კანონმდებლობის თანახმად,

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციად უნდა განისაზღვროს, სულ მცირე, ის შემთხვევები, როდესაც შშმ პირს არ აქვს წვდომა საზოგადოებისთვის ღია სერვისისა და შენობაზე:

- a) რომლებიც შეიქმნა მისაწვდომობის სტანდარტების მიღების შემდეგ;
 - b) რომლებზეც წვდომაც შესაძლებელი იყო გონივრული მისადაგებით.
32. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ საჯარო შესყიდვების კანონმდებლობაც და მასში ასახონ მისაწვდომობის მოთხოვნა. მიუღებელია სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენება ისე, რომ წარმოშვას ან განამტკიცოს უთანასწორობა, გამომდინარე მიუწვდომელი სერვისების ან შენობების არსებობიდან. სახელმწიფო შესყიდვები უნდა განხორციელდეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისაწვდომობა და შშმ პირთა *de facto* თანასწორობა.
33. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, რათა გამოავლინონ არსებული მისაწვდომობის დაბრკოლებები, განსაზღვრონ კონკრეტული ვადები და გამოყონ ადამიანური და მატერიალური რესურსები მათ აღმოსაფხვრელად. დამტკიცების შემდეგ, აუცილებელია ამ სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების განუხრელი შესრულება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ მონიტორინგის მექანიზმებიც; ასევე, გამოყონ დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად აუცილებელი რესურსები და მოამზადონ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები. ვინაიდან მისაწვდომობის სტანდარტები, როგორც წესი, ადგილობრივ დონეზე სრულდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა შესაძლებლობის გაძლიერება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა და ქმედითი მონიტორინგის ორგანოები, რომელთაც აქვთ სათანადო შესაძლებლობა და მანდატი სამოქმედო გეგმების, სტრატეგიებისა და სტანდარტების შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად.

IV. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

34. მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ შშმ პირთა წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა თუ კომუნიკაციაზე და საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე, უნდა განვიხილოთ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ჭრილში. ასეთ მისაწვდომობაზე უარი დისკრიმინაციაა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, რასაც კრძალავს კონვენციის მე-5 მუხლი. *pro future* მისაწვდომობა კი უნდა განვიხილოთ ზოგადი ვალდებულების შესრულების ჭრილში, რომელიც ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებით შექმნილი საქონლის, სერვისის, აღჭურვილობისა და შენობების შექმნას (მუხლი 4, პუნქტი 1(f)).
35. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ეფექტიანად შესრულების ერთ-ერთი წინაპირობაა ცნობადობის ამაღლება. ვინაიდან მისაწვდომობას ხშირად განიხილავენ ვიწროდ, მხოლოდ შენობებზე წვდომად (რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ამ მოთხოვნის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია), მონაწილე სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა აამაღლონ მისაწვდომობის შესახებ ცნობადობა დაინტერესებულ

მხარეებში. აუცილებელია მისაწვდომობის ყველა ასპექტის დაფარვა (ფიზიკური გარემო, ტრანსპორტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია, სერვისები). ცნობადობის გაზრდის კამპანიაში უნდა აღინიშნოს, რომ მისაწვდომობის სტანდარტების დაცვის ვალდებულება საჯარო და კერძო სექტორს ერთნაირად ეკისრებათ. მან ხელი უნდა შეუწყოს უნივერსალური დიზაინის გამოყენებას, ასევე, იდეას, რომ მისაწვდომობის გათვალისწინება პროდუქტის შექმნის პირველივე ეტაპზე ხარჯთეფექტური და ეკონომიურია. ცნობადობა უნდა გაიზარდოს შშმ პირებთან, მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან ერთად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შესაძლებლობის გაძლიერებას მისაწვდომობის სტანდარტთა გამოყენებისა და მონიტორინგის მხრივ. მედია უნდა უზრუნველყოფდეს თავისი გადაცემებისა და სერვისების მისაწვდომობას შშმ პირებისთვის და, ამასთანავე, აქტიურად მონაწილეობდეს მისაწვდომობის ხელშეწყობასა და მასზე ცნობიერების გაზრდაში.

36. სრული წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე, ასევე, საზოგადოებისთვის ღია სერვისებზე, ნამდვილად არის კონვენციით გათვალისწინებული ბევრი უფლებით სარგებლობის წინაპირობა. რისკის, ბუნებრივი კატასტროფისა და შეიარაღებული კონფლიქტისას, საგანგებო სიტუაციების სამსახურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისთვის, ვინაიდან სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მათი სიცოცხლის ან კეთილდღეობის დაცვა (მუხლი 11). მისაწვდომობა ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს უბედური შემთხვევის შემდეგ გასატარებელი აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვისას. შესაბამისად, სტიქიური უბედურების შესამცირებელი ღონისძიებებიც უნდა მოიცავდეს მისაწვდომობას და იყოს ინკლუზიური.
37. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ვერ იქნება ეფექტიანი, თუ შშმ პირებისთვის მიუწვდომელია სამართალდამცველი უწყებებისა და სასამართლოს შენობები, ან მათ მიერ შეთავაზებული სერვისი, ინფორმაცია და კომუნიკაცია (მუხლი 13). საჭიროა უსაფრთხო სახლის, ასევე, მხარდაჭერის სერვისებისა და პროცედურების ხელმისაწვდომობა, რათა შესაძლებელი გახდეს შშმ პირთა - განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების - ეფექტიანი და სათანადო დაცვა ძალადობის, ზეწოლისა და ექსპლოატაციისაგან (მუხლი 16). მისაწვდომი გარემო, ტრანსპორტი, ინფორმაცია, კომუნიკაცია და სერვისები შშმ პირთა საზოგადოებაში ჩართულობის, ასევე, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების წინაპირობაა (მუხლი 19).
38. მე-9 და 21-ე მუხლები ერთმანეთთან დაკავშირებულია ინფორმაციისა და კომუნიკაციის დებულებებით. 21-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები „იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი აზრისა და რწმენის გამოხატვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გამოყენების თანაბარ უფლებას მათ მიერ არჩეული ნებისმიერი სახის საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით“. ეს მუხლი დეტალურად აღწერს ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომის უზრუნველყოფას პრაქტიკაში; ასევე, ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი ინფორმაციის მისაწვდომობა“ (მუხლი 21 (a)) და ითვალისწინებს

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ოფიციალურ ურთიერთობებში შესტების ენის, ბრაილის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა მისაწვდომი საშუალებების, მოდელებისა და მათ მიერ შერჩეული საკომუნიკაციო ფორმატების მიღებასა და გამოყენების წახალისებას“ (მუხლი 21 (b)). კონვენცია შეიცავს მოწოდებას, რომ კერძო კომპანიებმა, რომლებიც მომსახურებას სთავაზობენ საზოგადოებას, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით, ინფორმაცია და სერვისები უშუალოდ მიიწოდონ „მისაწვდომი და გამოყენებადი ფორმატებით“ (მუხლი 21 (c)); მიზანშეწონილია, რომ მასმედიაში, მათ შორის, ინტერნეტინფორმაციის მიმწოდებლებმა, სერვისები უზრუნველყონ უშუალოდ პირებისთვის ხელმისაწვდომი ფორმატით (მუხლი 21 (d)). 21-ე მუხლი ითვალისწინებს იმასაც, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა აღიარონ შესტური ენის გამოყენება და ხელი შეუწყონ მას კონვენციის 24, 27, 29, 30 მუხლების შესაბამისად.

39. სასკოლო ტრანსპორტის, სკოლის შენობების, ასევე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობის გარეშე, უშუალოდ პირები ვერ შეძლებენ განათლების უფლებით სარგებლობას (კონვენციის 24-ე მუხლი). შესაბამისად, აუცილებელია სკოლების მისაწვდომობა, კონვენციის მე-9 მუხლის 1(a) პუნქტის თანახმად. თუმცა, მისაწვდომი უნდა იყოს მთლიანად ინკლუზიური განათლება და არა მხოლოდ შენობები; ასევე, ინფორმაცია და კომუნიკაცია (მათ შორის, გარემო და FM დამხმარე საშუალებები), მხარდაჭერის სერვისი და გონივრული მისადაგება სკოლებში. მისაწვდომობას ხელს უნდა უწყობდეს განათლება, ასევე, სკოლების საგანმანათლებლო პროგრამა, და პროცესი წარიმართოს ისეთი საშუალებებით, როგორცაა შესტური ენა, ბრაილი ან ალტერნატიული შრიფტი, გამაძლიერებელი და ალტერნატიული მეთოდები, საშუალებები და ფორმატი (მუხლი 24, პუნქტი (3a)); განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს უსინათლო, ყრუ და ორივე სახის შეზღუდვის მქონე სტუდენტთა კომუნიკაციის ენაზე, მოდალობასა და საშუალებებზე. სწავლების ფორმა, მეთოდი და გარემო უნდა იყოს ხელმისაწვდომი. უშუალოდ მოსწავლეების გარემო ხელს უნდა უწყობდეს ინკლუზიას და თანასწორობას განათლების პროცესში. კონვენციის 24-ე მუხლის სრული განხორციელება უნდა განვიხილოთ ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, ასევე, განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის გათვალისწინებით (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია).
40. უშუალოდ პირები ვერ ისარგებლებენ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვით, თუ შენობები, სადაც ეს სერვისები გაიცემა, ან იქამდე მიმავალი ტრანსპორტი არ იქნება ხელმისაწვდომი. ჯანდაცვის სერვისებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან კომუნიკაცია მისაწვდომი უნდა იყოს შესტური ენით, ბრაილით, სათანადო ელექტრონული ფორმატით, ალტერნატიული შრიფტით, კომუნიკაციის გამაძლიერებელი და ალტერნატიული მეთოდებით, საშუალებებითა და ფორმატით. არსებითად მნიშვნელოვანია მისაწვდომობის გენდერული ასპექტის გათვალისწინება ჯანდაცვის სერვისების მიწოდებისას, განსაკუთრებით, უშუალოდ ქალებისა და გოგონების რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის, გინეკოლოგიური და სამედიცინო სერვისების მიწოდება.
41. უშუალოდ პირები ვერ შეძლებენ, ეფექტიანად ისარგებლონ კონვენციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული შრომისა და დასაქმების უფლებით, თუ

სამუშაო ადგილი არ იქნება მისაწვდომი. შესაბამისად, ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს მე-9 მუხლის 1(a) პუნქტის მიხედვით. სამუშაო ადგილის ადაპტირებაზე უარი დისკრიმინაციული ქმედებაა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და იკრძალება. სამუშაო ადგილის ფიზიკური მისაწვდომობის გარდა, შშმ პირებს ესაჭიროებათ ტრანსპორტი და მხარდაჭერის სერვისი სამსახურში მისასვლელად. სამუშაოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, განცხადებები სამუშაოს შეთავაზების შესახებ, შერჩევის პროცესი და სამუშაო ადგილას კომუნიკაცია, რაც სამუშაო პროცესის ნაწილია, მისაწვდომი უნდა იყოს შესტური ენით, ბრაილით, სათანადო ელექტრონული ფორმატებით, ალტერნატიული შრიფტით, გამაძლიერებელი და ალტერნატიული მეთოდებით, საშუალებებით და ფორმატით. მისაწვდომი უნდა იყოს ყველა შრომითი უფლება, ასევე, ტრენინგისა და სამუშაო კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები (მაგ.: უცხო ენის ან კომპიუტერის კურსები თანამშრომლებისა და სტაჟორებისთვის უნდა ჩატარდეს მისაწვდომ გარემოში, შესაბამისი ფორმით, საშუალებით და ფორმატით).

42. კონვენციის 28-ე მუხლი შეეხება შშმ პირთა ცხოვრების სათანადო სტანდარტსა და სოციალურ დაცვას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როგორც ძირითადი, ისე შშმ პირებზე ორიენტირებული სოციალური დაცვის ღონისძიებები და სერვისები შესაბამისი ფორმით იყოს მისაწვდომი ადაპტირებულ შენობებში; ასევე, ყველა საჭირო ინფორმაცია და კომუნიკაცია მოწოდებული იყოს ისეთი საშუალებებით, როგორცაა შესტური ენა, ბრაილის შრიფტი, მისაწვდომი ელექტრონული ფორმატები, ალტერნატიული შრიფტები, კომუნიკაციის გამაძლიერებელი და ალტერნატიული ფორმები, მეთოდები და ფორმატი. სოციალური განსახლების პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული საცხოვრებელი, *inter alia*, მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისა და მოხუცებისათვის.
43. კონვენციის 29-ე მუხლი ითვალისწინებს შშმ პირთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ვერ შეძლებენ თანასწორ და ეფექტიან სარგებლობას ამ უფლებებით, თუ მონაწილე სახელმწიფოები ხმის მიცემის პროცედურას, შენობებსა და მასალებს არ უზრუნველყოფენ სათანადო, მარტივად გასაგები და გამოსაყენებელი ფორმატით. მნიშვნელოვანია, მისაწვდომი იყოს პოლიტიკური შეხვედრებიც, ასევე, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა თუ დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ გამოყენებული მასალები, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შშმ პირებს არ ექნებათ შესაძლებლობა, სხვათა თანასწორად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. საჯარო სამსახურში დასაქმებულ შშმ პირებს, უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა, რომ საკუთარი მანდატი განახორციელონ სრულად მისაწვდომი ფორმით.
44. ყველას აქვს უფლება, ისიამოვნოს ხელოვნებით, მონაწილეობდეს სპორტულ ღონისძიებებში, წავიდეს სასტუმროებში, რესტორნებსა და ბარებში. თუმცა ეტლით მოსარგებლე პირები ვერ შეძლებენ კონცერტზე დასწრებას, თუ დარბაზში მხოლოდ კიბეა. უსინათლო პირები ვერ მოახერხებენ ნახატების დათვალიერებას, თუ გალერეაში არ არსებობს სურათის ხმოვანი აღწერის საშუალება. სმენითი შეზღუდვის მქონე პირები ვერ ისიამოვნებენ ფილმით, თუ ეკრანზე არ იქნება სუბტიტრები. ყრუ ადამიანები ვერ დაესწრებიან თეატრალურ სპექტაკლს, თუ ის შესტურ ენაზე არ ითარგმნება. ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები ვერ ისარგებლებენ წიგნით, თუ არ იარსებებს მისი მარტივად წასაკითხი ვერსია, ან გამაძლიერებელი და

ალტერნატიული ფორმატი. კონვენციის 30-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა თანასწორი მონაწილეობის უფლებას და იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა მათთვის მისაწვდომი ფორმატით უზრუნველყონ:

- (a) კულტურის საკითხებთან დაკავშირებული მასალები;
- (b) სატელევიზიო გადაცემები, ფილმები, სპექტაკლები და სხვა კულტურული აქტივობები;
- (c) კულტურის დაწესებულებები და მათი მომსახურება (თეატრი, მუზეუმი, კინო, ბიბლიოთეკა, ტურისტული სამსახური და, შესაძლებლობის ფარგლებში, ეროვნული კულტურის ძეგლები და მონუმენტები).

იმ კულტურულ და ისტორიულ შენობებზე წვდომა, რომლებიც ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილია, შეიძლება ზოგ შემთხვევაში რთული აღმოჩნდეს. თუმცა, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეძლებისდაგვარად შეასრულონ ეს მოთხოვნა. ეროვნული და კულტურული მნიშვნელობის ბევრი ძეგლისა და ადგილის მისაწვდომობა შესაძლებელი გახდა ისე, რომ შენარჩუნდა მათი კულტურული და ისტორიული იდენტობა და მნიშვნელობა.

45. „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გამოყენებისათვის“ (მუხლი 30, პუნქტი 2). „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს, საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში, რათა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობამ არ შეუქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუმართლებელი და დაუძლეველი ბარიერები კულტურის საკითხებთან დაკავშირებული მასალის მისაწვდომობაზე“ (მუხლი 30, პუნქტი 3). ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის 2013 წლის მარაკეშის შეთანხმების მიხედვით, შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ კულტურულ მასალაზე წვდომა გაუმართლებელი ან დისკრიმინაციული დაბრკოლებების გარეშე. ეს განსაკუთრებულად ეხებათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მხედველობის პრობლემები, ან არ შეუძლიათ ბეჭდური მასალის წაკითხვა. ეს უფლება გარანტირებულია საზღვარგარეთ მცხოვრები შშმ პირებისა და უმცირესობებისათვის, რომლებიც საუბრობენ და იყენებენ იმავე ენას ან კომუნიკაციის საშუალებას, ან რომლებსაც უჭირთ კლასიკური, დაბეჭდილი მასალების წაკითხვა. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ითვალისწინებს, რომ შშმ პირებს სხვების თანასწორად აქვთ მათი კულტურული და ლინგვისტური იდენტობის აღიარებისა და მხარდაჭერის უფლება. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია ჟესტური ენისა და ყრუთა კულტურის აღიარება-მხარდაჭერის მნიშვნელობა.

46. კონვენციის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შშმ პირთათვის დასვენების, თავისუფალი დროის გატარებისა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის თანასწორი უფლების უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს:

- (a) ზოგადი პროფილის სპორტულ ღონისძიებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მასივური მონაწილეობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

(b) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით სპეციფიკური სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებების ორგანიზების, განვითარების, მონაწილეობის უზრუნველყოფა; ამასთან მიმართებით, მათთვის შესაბამისი ინსტრუქტაჟის, სწავლებისა და რესურსების თანაბარი უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

(c) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტული ღონისძიებების, რეკრეაციული და ტურისტული ობიექტების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

(d) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, სხვა ბავშვებთან თანაბრად, თამაშებში, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის, დასვენებისა და თავისუფალი დროის გატარების, მათ შორის, სასკოლო სისტემაში ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

(e) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეკრეაციული, ტურისტული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართული პირების მომსახურების მისაწვდომობა.

47. კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა იყოს მისაწვდომობისა და უნივერსალური დიზაინის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი საშუალება. კომიტეტის რეკომენდაციაა, განვითარების საერთაშორისო სააგენტოებმა აღიარონ იმ პროექტების მნიშვნელობა, რომლებიც მხარს უჭერს ICT-ისა და სხვა მისაწვდომობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში განხორციელებული ახალი ინიციატივები უნდა გამოიყენებოდეს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს დაბრკოლებების აღმოფხვრასა და პრევენციას. დაუშვებელია საჯარო თანხების გამოყენება უთანასწორობის შესაქმნელად. ყველა ახალი ობიექტი, ინფრასტრუქტურა, შენობა, საქონელი, პროდუქტი და სერვისი სრულად მისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისთვის. საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია არა მხოლოდ მისაწვდომი საქონლის, პროდუქტისა და სერვისების შესაძენი ინიციატივებისთვის: მისი მიზანი უნდა იყოს ინფორმაციის გაცვლა მისაწვდომობისთვის აუცილებელი ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რათა ხელშესახები ცვლილებები განხორციელდეს მილიონობით შშმ პირის ცხოვრების გასაუმჯობესებლად მსოფლიო მასშტაბით. საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია სტანდარტების შესამუშავებლადაც, ვინაიდან შშმ პირთა ორგანიზაციებმა, მხარდაჭერის შედეგად, უნდა შეძლონ ეროვნულ და საერთაშორისო პროცესებში მონაწილეობა მისაწვდომობის სტანდარტების განვითარების, განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით. მისაწვდომობა მდგრადი განვითარების ნებისმიერი ღონისძიების ნაწილი უნდა იყოს, განსაკუთრებით, 2015 წლის შემდგომი დღის წესრიგის კონტექსტში.

48. კონვენციის შესრულების ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის მნიშვნელოვანი ელემენტია მისაწვდომობაზე მონიტორინგი. 33-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ ერთ ან რამდენიმე პასუხისმგებელ უწყებას, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ წინამდებარე კონვენციის განხორციელებას; ასევე, ქმნიან მონიტორინგის ეროვნულ ჩარჩოს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ერთ ან მეტ დამოუკიდებელ მექანიზმს. ძალიან მნიშვნელოვანია, მე-9

მუხლის სათანადოდ შესრულების ღონისძიებათა დაგეგმვისას კონსულტაციების ჩატარება 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ორგანოებთან. ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილება: *inter alia* მონაწილეობდნენ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის შექმნაში; შეაფასონ არსებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტების პროექტები; წარადგინონ წინადადებები კანონმდებლობის შემუშავებასა და პოლიტიკის დოკუმენტებზე; და სრულად ჩაერთონ ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო კამპანიებში. კონვენციის განხორციელების ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგის პროცესი უნდა იყოს მისაწვდომი და ხელს უწყობდეს შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ეფექტიან მონაწილეობას. კონვენციის 49-ე მუხლის თანახმად, ამ დოკუმენტის ტექსტი უნდა არსებობდეს მისაწვდომი ფორმატით. ეს ინოვაციაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში და მიიჩნევა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციამ სამომავლოდ პრეცედენტი შექმნა ყველა ხელშეკრულებისათვის.